საქართველოს მთავრობის

დადგენილება №492

2022 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2016, 340170000.10.003.019084) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პროგრამის ბენეფიციარის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ის ან/და პროგრამის ბენეფიციარის მიერ შერჩეული და სახელმწიფოსგან იჯარის უფლებით მისაღები სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაცი(ებ)ის ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 ჰა-ს და არ უნდა აღემატებოდეს 300 ჰა-ს;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში, კოპერატივის ან/და მისი მეპაიეების საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ის ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 ჰა-ს და არ უნდა აღემატებოდეს 300 ჰა-ს, ხოლო სახელმწიფოსგან იჯარის უფლებით მისაღები სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაცი(ებ)ის ფართობი არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის მიერ განაცხადით მოთხოვნილ, მის ან/და მეპაიეთა საკუთრებაში არსებულ სარეაბილიტაციო ფართობს;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**